

დროშა

გამოდის ყოველ-ღამე ორშაბათს ვარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონი ერთ წუთს ღირს ცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზეც კედ.
თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოღებს დასახეულად გამოცხადებულ წერილებს დაუბეჭდავად წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.
ცალკე ნომერი «დროშისა» ღირს 5 კაპეიკი.

„დროშის“ რედაქცია — სიმონსონოვის ქუჩაზე, ნა-ზაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.
ხელის მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეუბნებში მკვრივობათვის ადრესი: ВЪ Тифлисъ, въ Редакцію „Дрошба“.
ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით — 8 მ.; 9 თვით — 7 მ. 50 კ.; 8 თვით — 7 მ.; 7 თვით — 6 მ. 6 თვით — 5 მ.; 5 თვით — 4 მ. 50 კ.; 4 თვით — 4 მ. 3 თვ. — 3 მ.; 2 თვ. — 2 მ.; 1 თ. — 1 მ.

მიიღება ხელის-მოწერა ცხვით

„დროშაზე“

ნახევარის წლით

ივლისის 1-დამ წლის დამლევაძვე

ფასი ხუთი მანათი

სოფლის მასწავლებელთათვის

ოთხი მანათი.

რესპუბლიკური პარტიის დასამა

ამერიკაში

თბილისი, ივლისის 11-ს.

რესპუბლიკური პარტიის აწინდელი მდგომარეობა ამერიკაში ერთხელ კიდევ ამტკიცებს სრულს ჰემპრიტებს იმ აფორიზმისას, რომელიც ამბობს: უფლება კაცს ახდენს. წინედ ამ პარტიის დროშაზედ ეწერა ჩინებული პრინციპი: თავისუფლება ზანგთა ტომისა. ამ პრინციპის ერთგულებამ და სამსახურმა ეს პარტია აიყვანა დიდს სიმაღლეზედ და დაუმსახურა მთელი თანამედრობა ყოველი კაცობრიობის მოყვარისა. მაგრამ, რაკი თავის გულის წადილს ეწია, რაკი ზანგები განთავისუფლან, მოწინააღმდეგე დემოკრატიული არსება შემუსრა და მთელი ადმინისტრაციული უფლება იგლო ხელში, პარტია თან-და-თან

ძირს დაეშვა და ბოლოს ისეთს ქაობში ჩაივლო, რომ ძნელად თუ იგი თავს უფლებლად გაიტანს. შმაფრეს სენად ამ პარტიისა შეიქმნა მოქრთამობა, რომელიც მთელა ამერიკის ადმინისტრაციას ხოლერასავეით მოედო. უწინ ეს პარტია ქვეყნის ინტერესებს ემსახურებოდა, ახლა კი ემსახურება თავის ჯიბესა. მოქრთამობა ისეთი ხშირი მოვლენა შეიქმნა, რომ თითქმის სათაკილო თვისება დაჰკარგა ბევრის ამერიკელის თვალში. ბოლოს საქმე იქამდის მივიდა, რომ პრეზიდენტის კანდიდატად ამ პარტიამ გამოიყენა იმისთანა პირი, რომელიც რავდენიმე წლის განმავლობაში მილიონწერად გადაიქცა იმ ვარემოების მეოხებით, რომ სენატის თავმჯდომარის უფლებას ბოროტად ხმა-რობდა და ქრთამებს იღებდა სხვა-და-სხვა ვერძო საზოგადოებათაგან, რომელნიც სენატისგან იღებდნენ სხვა-და-სხვა კონცესიებსა. ეს პირი გახლავთ ბლენი, ვაცი ნიჭიერი, მხნე, გამბედევი; მაგრამ ანგარი, მომსყიდავი და საზოგადოდ იმ გვარი ზნისა, რომ პრეზიდენტის თანამდებობას დიდს ჩარქს დააცხობს, თუ ამორჩეული იქმნა. სრულიად სხვა სურათს წარმოადგენს ამ ჯამად მეორე დემოკრატიული პარტია, მოწინააღმდეგე რესპუბლიკური პარტიისა. მცირე წლის წი-

ნედ ეს პარტია საშინლად დამარცხდა, განადგურდა და მიწასთან გასწორებულ იქმნა იმის გამო, რომ ემსახურებოდა იმისთანა საბაგლს და ანდერძ-ავებულს საქმეს, როგორიც იყო მონაობა ზანგებისა. მაგრამ, შემდეგში კუთხედ მოვიდა, მხნედ შეუდგა თავის აღდგინებას, გაუყეთესოვბას, უარყო უწინდელი თავისი დედა-აზრი, გულწრფელად შეურიგდა ზანგების განთავისუფლებას და დადგა პატიოსნების გზასა მით უფრო მტკიცედ, რომ ამ გზას მოწინააღმდეგე პარტიამ ისე აშკარად უღალატა. პრინციპიალური განსხვავება ამ პარტიებს შუა ძლიერ შემცირდა ამის გამო. მცირე წლის წინედ მიმკვდარებული დემოკრატიული პარტია ეხლა წარმოადგენს ცოცხალს და მხნე ორგანიზაციას, რომლის დროშაზედ, პატიოსნების გარდა, აწერია ესრედ წოდებული ადმინისტრაციული რეფორმა, რომლის ძალითაც ყოველი მოხელე, განწესებული რომელსამე ადგილზედ, უნდა დაჩხეს თავის თანამდებობაში იქამდის, ვიდრე მას ასრულებს ერთგულად, ცოდნით და სერინდისიანად. ჩვენ რომ ამ რეფორმის მნიშვნელობა გავიგოთ, უნდა მოვისხნოთ, რომ ამერიკაში დიდი ხანია მოქმედებს ესრედ-წოდებული „მასინური პოლიტიკა“. იგი მდგომარე-

ბობს იმაში, რომ პრეზიდენტი, თავის ამორჩევის შემდეგ თანამდებობიდან ითხოვს სამსახურიდან ყოველს მოხელეს, რომელიც კი მის პარტიას არ ეკუთვნის და მის ადგილას ნიშნავს თავის პარტიის კაცსა, მაშინაც კი, როდესაც პირველი არის ყოველი ღირსებით შემკული და მეორეს კი პრეზიდენტის ერთგულობის მეტი არა ღირსება არ გააჩნია. ამ წესის ძალით პრეზიდენტი გამოდის მაშინისტად, მისი მოხელეები მის თანაშემწედ და მთელი ამერიკა ფაბრიკად, რომელიც მოძრაობაში მოჰყავთ ამ მეხანიკოსებსა. რადგანაც მოხელეს ბედი და უბედობა პრეზიდენტზედ არის დამოკიდებული და აქ თვითონ სამსახურს, ქვეყნის ერთგულებას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, — ამიტომ ყოველი მოხელე გამოდის პირადი მოსამსახურე პრეზიდენტისა და ქვეყნის სიკეთე აინუშნაიც არ მოსდის. ამ გვარს წესს, ორგანიზაციას მნიშვნელობა ჰქონდა წინედ, როდესაც პარტიების შუა არამც თუ ზნეობითი ბრძოლა არსებობდა, თოფ-იარაღიც ჰქვდა; მაგრამ შემდეგში, მმეიდობიანობის დროს, მან დაჰკარგა ყოველი აზრი და მანებლობის მეტი არა მოჰქონდა რა. ბლენი წინააღმდეგია ამ რეფორმისა, რადგანაც მაშინური პოლიტიკა მას ძლიერ მოსწონს; მაგრამ თვითონ

„დროშის“ ჟეგლონი ივლისის 11.

კოლექციონად.

(ნ. ლ. პასუხად „დროშას“ № 142.)*

„Скажите, каково прочесть
Весь этот вздор?...
И, все зачѣмъ? что бы вамъ сказать,
Что ихъ не надобно читать.“
Лермонтовъ.

„დროშის“ № 136-ში დაბეჭდილი იყო ჩვენი „სამშობლიური ლიტერატურული ბრძოლისა“ რომელიც მარტო ერთს მაგალითს შეეხებოდა. ეს მაგალითი მოვიყვანეთ ნ. ლ. „მოღვაწის ხვედრიდამ“ („დროშა“ № 124) და ვუჩვენეთ მკითხველს, რომ პატიოსანი მწერალი არასოდეს მარ უნდა ხელმძღვანელობდეს პირიქითი ანგარიშებით და ცერძონ ცხოვრებიდამ არ უნდა იღებდეს ისეთს ჭაქტს, რომელიც საზოგადო მნიშვნელობა არა აქვს. ჩვენ განვმარტეთ — სად იწყება და სად თავდება სამშობლიური ლიტერატურული ბრძოლისა. საგანს საზოგადო ხასიათი და მიმართულება მივეცით. ამ ნაირი

ლიტერატურული ბაასი სასარგებლოდ მიგვიჩნდა მკითხველისათვის და ვფიქრობდით კიდევ, რომ, თუ კი ჩვენი მოწინააღმდეგე პასუხს მოგვცემდა, იგი უსათუოდ პოლემიკურ კანონს არ დაარღვევდა, ლიტერატურულ გზას არ გადაუხვევდა და ამასთანავე რაიმე საზოგადო აზრს წარმოსთქვამდა კითხვაზე, ნათელს მოჰკვრდა საკამათო საგანს. სამწუხაროდ, ჩვენი ფიქრი ფუჭი ოცნება გამოდგა. მოწინააღმდეგე თხლად, სუსტად ბძანებულა ლიტერატურულ კითხვებში და ამისათვის გვერდით აუვლია. საზოგადო საგნისათვის, მთლად თვისი ძალ-ღონე წერილობითაზე და ლიტერატურულ ენაჭანობაზე დაუხარჯავს. ეს არის მიზეზი, რომ ჩვენ გესურს ექთხელ კიდევ შევიჩნოთ მკითხველის ყურადღება იმის მსჯელობაზე.

პირდაპირ უნდა ესთქვათ, რომ ჩვენი მდგომარეობა მეტად საჩოთიროა. ძნელია, როდესაც მწერლისაგან ცოდნას და განვითარებას გამოვლი და ხელში ვრჩება მარტო მისგან თავის თავის უსაფუძვლოდ ქება-დიდება, ბეჭდური ტრაბახი. მაგრამ ამისთანა ვაჭბატონები ხომ ბლომად მოიპოვებენ ჩვენს ახალს მწერლობაში. ისიც ყველამ კარგად იცის — რა საზარელს სენს შეადგენს ამ გმირების თავ-მოყვარე-

ბა. ლეთის წყალობა ვერავისთვის გიკადრებია — ლეთის რისხვად მიაჩნიათ. თუ ვინმემ, დიდის ტანჯვის შემდეგ, ერთი მოთხრობა გამოსჩეკა და ორი გაალაყა და ამასთანავე ათიოდე თითოსოდენა ლექსიც დასწერა — გზაზე ჩამოეცალეთ, ბუხს აღარ დაისევს თავზედ, მაქეთ და მადიდეთო... და ვაი თქვენი ბრალიც, თუ არ აქვთ და არ აღიდეთ: მოჰყვებიან რისხვას და კრულვას, თითქო სამშობლო დაილუპება, თუ ისინი არავინ აღიდა და იწამა!... ამ გმირებს წარმოუდგენიათ, რომ „ლიტერატურის მეუფემ შემოქმედებითი ძალა“ მთლად მათ დააბერტყა თავზედ და იმას კი არ დაგიდევენ — რა განძი და საუნჯე შესწირეს სამშობლოს. აიღეთ, თუ გნებავთ, ბელეტრისტიული თხზულებანი. მართლაც

ლონის ლილიპუტები და მომავალ პანტეონში ეხლავე ძველის ამართვას თხოულობენ, მაგრამ რადა, როდესაც

„Стихи — такая пустота,
Слова безъ смысла, чувства нѣту;
Натянуть каждый оборотъ;
При томъ, сказать ли по секрету?
И въ рифмахъ часто недочетъ.“

აი სწორედ ამ ნაირი დამსახურებული მწერალი გამოხტება მოედანზე და მოჰყვება თავდაზიანებული რაინდივით რისხვას: მწერლობაში რა ადგილი ვაქვს, მენ მოხუცებული ნიკოზა კამჩივით უხეროდ ლექავ ნახს, ვაგონილს და დაძველებულს და სხ... საბრალოა და სასაცილოც, ჩემო მკითხველო, ის მწერალი, რომელსაც, გონების სილატაკის გამო, საგანზე ბაასი არ შეუძლიან, საზოგადო კითხვას თავს ანებებს და კორიკანაობს თქვენს ლიტერატურულ მოღვაწეობაზე. ეს მოვლენა მეტად ხშირია ჩვენში და აიხსნება ჩვენის ლიტერატურული აზრის სისუსტითა, ნაილაჯობით. თუ ჩვენში უმრავლესობა მარტო კორიკანაობს, ეს იმიტომ, რომ ჩვენ გვაკლია სწავლა, განვითარება, თორემ აბა როგორ იკადრებს შეგნებული და პატიოსანი ახალ-გაზდა მწერალი კალმის ერთის მოქნევით, ლიტონის სიტყვით თქვენს

*) ამ ჟეგლონი თავდება პოლემიკა ნ. ლ. — სა და ნ. — ის შორის, კიდევაც ბევრი დაიწერა იმ საგანზედ, რომელიც პირველად ასტვენა ეს პოლემიკა და არ არის საჭირო, რომ მკითხველს უბრალოდ თავი შევაწყვინოთ.

„Съ кого они портреты пишутъ?
Гдѣ разговоры эти слышать?“
ლექსები, პოეზია? მკითხველსაც ეკოდინება სამშობლო პოეზიის ავლადიდება. რამდენიმე ნიჭიერი პოეტი რომ გამოვსტოვოთ, დანაშინი ჩვენი მიკროსკოპიული პოეტები უგვანო სიმებით სმენას და გემოს უფუჭებენ მკითხველს, უხმობენ ესტეტურ გრძნობას. ამას როდი დაგიდევენ აპო-

ქვეყანა კი თანაუგრძობს ამ რეფორმასა და დემოკრატიული პარტია, როგორც ეს თქვით, აღვიარებს ამ აზრსა.

ისე არაფერი ამტკიცებს ამ დემოკრატიული პარტიის სისხლს ამ ქვეყანა, როგორც მისი კანდიდატი პრეზიდენტის ადგილზედ. მან კანდიდატად გამოიყენა მეტად პატიოსანი და მიუღვამელი პირი, რომლის წარსულში კაცი ერთს ლაქას ვერ იპოვის. ამასთან იგი არის მხნე, ნიჭიერი და საქმის კაცი. სახელი მისი ძლიერად აღიქმება. ამ ქვეყანა მას უჭირავს ერთი უდიდესთაგანი ადგილი რესპუბლიკაში, ნიუ-იორკის ვუბერნატორის თანამდებობა. ეს თანამდებობა მიუღია მას უპროტექციოთ (რომელსაც ამერიკაშიც დიდი მნიშვნელობა აქვს) და ისრე, რომ არც ერთი სიტყვა და არც ერთი ფარა არ დაუხარჯავს. პრეზიდენტობისათვისაც იგი თურმე თითქოს არ ანძრევს, წინააღმდეგ ბლენისა, რომელიც ფულსაც ბევრსა ხარჯავს, „სპინკსაც“ ბევრს ამბობს და გააბა ვეებერთელა ბაღე ინტრიგებისა.

მაგრამ, ქვეყნის სასიკეთოდ, ჩვენ უნდა მოველოდეთ ძლიერად აღიქმების და ბლენის დამარცხებას იმის გამო, რომ პირველის მხარე უჭირავს არა მარტო მთელს დემოკრატიულს პარტიასა, არამედ ერთს საუკეთესო ნაწილს რესპუბლიკის პარტიისასაც, რომელიც გაბოროტებულა და განრისხებულა თავის მომხრეებზედ იმის გამო, რომ მათ კანდიდატად პრეზიდენტის თანამდებობაზედ დაუსახელებიათ მოქრთამე და ჩირქში

განადგურებას, როდესაც ამისათვის საჭიროა დალაგებით სჯა, კრიტიკული განხილვა. მანა მართლა ავტორი „სახალხო განათლების საფუძვლები“ „ბატონ-ყმობაზე შენიშვნებისა“ (თებერვლის (ივრია)) და სხ. უხეიროდ იმეორებს ი. სვიმონიძის აზრებს და ღვეკვს ნ. ნიკოლაძის სიტყვებს *). და სამწუხარო ის არის კიდევ, რომ, როდესაც ამნაირ კორიკანას ნამდვილ სახელს უწოდებთ, თაკილობს და ზდილობას ქადაგებს... თუ არ კორიკანობა, რა ჯანაბა ეს საქციელი?—ან არა და—რა ცხარე ლიტერატურული მათრახი გადმამაწნეს ამ წინაზედ, რომელმაც მე ჰკუთის დაფორები ამიფუთქნა?—მისთვის და რისთვის არის საჭირო ეს ენა-ტანიაობა?

ეს კიდევ არაფერი. საქმე ის არის, რომ ჩვენმა ვაჟ-ბატონებმა არ იციან, რა არის პოლემიკა, რა აქვს მას საგნად. პოლემიკაში საკამათო საგანი შემოხაზულია, შემოფარგლული. მოკამათეთა შორის ბრძოლა, აზრების დაპირდაპირება ხაზს არ უნდა გასცილდეს, საგანს არ უნდა ასცდეს. მხოლოდ მაშინ გამოიკვეცა დედა-აზრი, მაშინ გამოაშკარავდება—ვინ სტყუის

გასვრილი კაცი. შემოდგომა მოგვიტანს ამავეს, რამ გაიმარჯვა ამერიკაში: პატიოსნებამ, თუ გაიძვერაობამ...

შინაური ძროხისა.

== სუბუმიდამ გვწერენ: „დიდი ხანია, რაც ველოდით სუბუმიში ჩილოკსერის პარტიას. შოველი გემის მოსვლის დროს ნავთსადგური სავსე იყო მუშებით, რომელნიც თითქმის ოთხი თვის განმავლობაში ელიან პარტიისაგან სამუშაოს. ბოლოს, ივლისის პირველს, ჩამოვიდა ჩილოკსერის პარტია და ასიოდე მუშა კაცმა იშოვა ლუკმა პური. ივლისის 5 პარტიამ დაიწყო მუშაობა აგრონომიკისპირტი მასილიევის ხელმძღვანელობით. პარტია გაიყო ორად—ერთი ნაწილი დარჩა სუბუმიში და შესდგება 17 კაცისაგან, ხოლო მეორე — მსწრაფი-ბრძოლი პარტია აგრონომიკისპირტი ინანოვის ხელმძღვანელობით გაემგზავრება ამ კვირაში აბჯაყვაში, პრისხში, ბუდაუთში, ქოდორში, ათონის წმ. მონასტრისკენ და სხვა სოფლებში.“

სუბუმის პარტია დაბინავდა ძოლობოვის დაჩამი და ენლა შეუდგა მუშაობას; შემდეგ ახლო-მანლო მიდამოებს დაათვალიერებს. შემეტეს ნაწილს ჩილოკსერის პარტიისას შეადგენენ ქართველები, მეგრელები და აზნაზები; სხვათა შორის, პარტიაში არიან თავ. ი. ნ. მანაძე და ი. ნ. მრისთავი. პირველი დახელოვნებუ-

და ვინ არის მართალი. მაგრამ ამ უსაპიროეს კანონს არღვევს ჩვენი მოწინააღმდეგე და თავის დანაშაულობას ჩვენვე კი გავწერს. რასში მდგომარეობს ეს დანაშაულობა? მასში, რომ ჩვენ იმის ჭეღვანის „მოღვაწის ხვედრის“ დედა-აზრი უყურადღებოდ დავსტოვეთ. აი ეს დედა-აზრი: „სასიამოვნოა, რომ პატიოსანი მოღვაწე ოხრდა კვდებოდაქი და იმარხებოდაქი ამისთანა ადგილას, სადაც სხვაგვარად არა ერთი ადამიანი, რომელსაც თავის თავი განათლებულ კაცად მიაჩნია“. მოკყოლია ამ შესანიშნავი დედა-აზრის პატრონი და მთელს ლექციას გვიკითხავს—პატიოსანმა მწერალმა თხზულების იდეას უნდა მოაქციოს ყურადღება, ეს საანბანო ქეზმარტება არისო. მაგრამ, როცა ლექტორის მსჯელობას აკვირდებით, თქვენს თვალ-წინ საოცარი სურათი იხატება... მრისხანე და თავგამოდებული მასწავლებელს უბრალო ლიტერატურული ცოდნაც კი ჰკლებია, შევირდების სახელმძღვანელოც კი და ვიწყება. ლექტორის სადღაც გაუგონია, რომ „თხზულების განხილვის დროს პატიოსანმა მწერალმა თვისი უმთავრესი ყურადღება უნდა მიაქციოს მის იდეას, დედა-აზრს“ და ის კი არ იცის, სად და რადის არის ეს საჭირო. თუ ლექტორის არა, მკითხველს მაინც ეცოდინება, რომ ეს მოთხოვნა ილტვით ეკუთვნის ლიტერატურ-

ლია ამ საქმეში და სპეციალურად აქვს შესწავლილი ჩილოკსერის ვითარება.

ხოლორისა სუბუმელებს ძალიან ეშინიანთ, ეშინიანთ მით უფრო, რომ არ იციან, იხმარა რაიმე სანიტარული საშუალება მთავრობამ, თუ არა. ღღეს შუა-ბაზარში ერთი სალდათი უეცრივ ავად გახდა მუცლის ტკივილით, მაშინვე წაიყენეს გოსპიტალიში. ამბობენ, რომ ეს მეორედ ხდება ამგვარი შემთხვევაო. სივ-ცხელების დრო დადგა და ვინ იცის, რამდენს მსხვერპლს შეიწირავს ეს სენი, ხოლორის ხსენებაც რომ არსად იყოს...

== იქილამვე გვწერენ, რომ ქვეყნილ გზაზედ, ნიკიტინის დაჩის ახლო, საშინელი სიმყარაღე სდგასო. სიმყარაღე ისე ძლიერია, რომ ვერ გაივლით, თუ ხუთიოდე წამის განმავლობაში ცხვირზედ ხელი არ მოიჭირეთ და არ შესწყვიტეთ სუნთქვა. ეს მესამე დღეა ავერ რაც ეს სიმყარაღე გვაწუხებს და არავითარს ღონეს არავინა ხმარობსო, ამბობს კორესპონდენტი.

== ამას წინად, როგორც გვაცნობებენ, რამდენიმე ხელოსანთ უსტაბაში მისულა ქალაქის მათთან და შეუჩივლიათ ბ—ნ მატინოვისათვის, რომ შეძლება არა გვაქვს და სახელოსნო გამგეობის სახლის ქირისაგან გაგვანთავისუფლეთ, ან არა და რამდენიმე ოთახი მოგვეცით სახელოსნო სკოლაში, რომ გამგეობა იქ გადავიტანოთო. მატინოვს უკითხნია, რამდენს

რულ კრტიკას. ჩვენი სამზღვარი ლიტერატურული ბრძოლისა და ერთი მაგალითი ჩვენის მწერლობიდან სრულიადაც არ არის ამოღავის ხვედრის კრიტიკა. ჩვენ იქ სხვა საგანზე გვეკონდა ბასი, სხვა დედა-აზრებს, იდეებს მივსდევდით. არც საჭიროდ მიგვანდა „მოღვაწის ხვედრის“ დედა-აზრის განხილვა. ეს დედა-აზრი, როგორც თითონ მკითხველიც ჰხედავს, მეტად გაცვეთილი, უფერულია და უფრო ეკუთვნის ეკლესიურ ქადაგებას, მინამ ლიტერატურულ კრიტიკას. მართლაც და რამდენი პატიოსანი მოღვაწე კვდება ოხრდა არა თუ ბორში, აი ხორველიან და განათლებულ მარსელშიც კი, მაგრამ ლიტერატურული კრიტიკა თავისთვის გაიუმბუღლია!.. ჩვენთვის საჭირო იყო ერთი მაგალითი და ეს მაგალითი ამოვიღეთ მოღვაწის ხვედრიდან, სადაც ჩვენ და მრადანის სხვანაც, პირველადი ანგარიშების და პირდაპირის გამო, შეურაცხებით მოგვიხსენიეთ თქვენ, შესანიშნავის დედა-აზრის პატრონო!.. თუ ეს ასეა, მაშ თქვენ რა უნდა დამტკიცოთ?—ის, რომ თქვენი ჭეღვანე უმანკო და უბიწო ქმნილებაა, იმაში პირადობას, კერძო ცხოვრების კილვას ადგილი არა აქვს? მაგრამ ამის დამტკიცება ყოველად შეუძლებელია. აი სწორედ ეს პირადობა, კერძო ცხოვრების კილვა იყო საჭირო და ეს მოვიყვანეთ მაგალითად ჩვენს წერილში. მაშ რისა-

რით გამგეობის შესწავლილი და უსტაბაშებსაც უსტაბაშებს. მაგრამ ის კი დაავიწყდათ ამ დალოცვილებს,—გვეწერს ერთი ხელოსანთაგანი,—რომ თითო ოსტატს ატესტატისათვის ართმევენ 3 მანეთიდან 25 მანათამდე, ქარვალს მოწმობისათვის 15 მანათამდე. ინანგარიშეთ ესლა სხვა შემოსავალი ამ თერამეტი წლის განმავლობაში რომელიც არც დაეთარში იწერებოდა და არც ინახებოდა სადმე და თქვენ დარწმუნდებით, რომ ამ ფულით პრწურის ქარვალსაც იყიდენ ხელოსნები, არა თუ ერთი სახლი ვერ შეეძინათ თავიანთის გამგეობისათვის. მაგრამ, ასრე რომ მოექცეულვიყავით, თაფლის გულაში ვილას ელოკნა თითო. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ თუ მთავრობამ არ მიაქცია ყურადღება ხელოსნებს, უფრო უარესი მოგველის. დავიჯერო 15,000 მეტი ქალაქის ხელოსანი ღირსნი არ არიან, რომ მათზე იზრუნონ, ვისიც რიგი და წესია!!“

უცხოეთი.

შპიპაშა. ძაირიდან იწერებინ, რომ ამ ქვეყანა იქაურს დაბალ ხალხში ძლიერი მღელვარება სუფევსო. მხლა მამამლიანების მარხვა რამაშანა და რელიგიური წესები, რომელნიც ყოველმამართლმორწმუნემ უნდა უთუოდ ასრულოს მთელი ამ მარხვის განმავლობაში, ყოველ წლივ აღძრავენ

თვის მივარდნილხარტ დედა-აზრს და ივიწყებთ (თუ არ იცით?), რომ კერძო ლიტერატურული მაგალითი და კრიტიკა ერთი და იგივე არ არის?.. და ან რა საჭიროა მკითხველისათვის ეს დედა-აზრი, რომელიც მას შეუძლიან გაიგონოს ყველა სასოფლო ეკლესიაში?!.. ამ უცოდინრობას მკითხველი, როგორც იქნება, აპატიებს ჩვენს მოკამათეს, მაგრამ საქმე ის არის, რომ წაკითხულის და დაწერილის გაგებაც ვერ შეძლებია იმ ბატონს, რომელსაც ასე თავი მოაქვს ქართული ლიტერატურის ცოდნით... მკითხველს ესომება, რომ წერილში „სამზღვარი ლიტერატურული ბრძოლისა“ ჩვენ დავსახელებთ საზოგადო ლიტერატურული მოვლენა, დავსკენით, რომ ჩვენს მწერლობაში ძნელად შეხედებით ბრძოლას, რომელსაც საგნად აქვს მარტო პრინციპი, იდეა; ჩვენ ვამბობდით „იშვითად შეხედებით ჩვენს მწერლობაში პირუთენელს, გულ-წრფელს სჯას, პრინციპიალურს ბრძოლას... ჭვერ უმწავლესობამ არც კი იცის—რა არის ლიტერატურული ბრძოლა...“ მშობლიურს მწერლობაში ამის მაგალითებს ვერ იპოვიო... ნაჩვენები იყო ისიც, რომ დარსება „ლიტერატურულ ბრძოლის ჩვეულებისა და კანონისა ჰეკლს ვაჟ-ბატონს ლიბლის მოპკერის პირზე... მისაც საზოგადო დასკენის და მოსაზრების გაგება შეუძლიან, ის ადვილად მიხედებოდა

*) კორიკანობას არ დაგვაჯერა და ინიციალი გამოაშკარავა ჩვენმა მოკამათემ იმ ნაწილების დასახელებით, რომლებზედაც ჩვენი სახელი და გვარი აწერია სრული სიტყვებითა, რას უნდა მიეწეროს ეს საქციელი?



ხოლმე მუსულმანთა ჭანატიზმს, და წრეულს უფრო იმ გვარი პირობები არაყიათ იქაურს მცხოვრებლებს, რომელნიც, რასაკვირველია, უფრო ხელს უწყობენ მღელვარებას. რადგანაც ქალაქ მადი-ხალქის ქვემოლ ტელეგრაფული მიწერ-მოწერა შეწყვეტილია და რადგანაც სამიზია მოგზაურობა იმ მხარეში, რომელიც ამ ქალაქისა და ღონგოლის შუა მდებარეობს, ამის გამო ნამდვილი ცნობები არა მოდის-რა სამხრეთიდან. ის ხმები კიდევ, რომელნიც იქაურს მცხოვრებლებს ჭელახებს, ანუ არაბებს მოაქვთ, ერთი მეორეზე სამიზარია. ის გარემოება, რომ ხართუმი ნამდვილად დამორჩილდა აჯანყებულებს, სჯერათ არამცთუ უბრალო ხალხს, არამედ ოფიციალურს წრეებსაც კი. ლაპარაკობენ, ვითომც ღონგოლაც უკვე ცრუ-წინასწარმეტყველის მომხრეთ ხელში იყვეს. ხმებია აგრეთვე, ვითომც ბერებრიც ავლათ აჯანყებულებს და დაენგრიოთ. ამბობენ, რომ ამ ქალაქის აღების დროს გუბერნატორი ჰუსეინ-ფაშა დაიჭრა და ტყვედ ჩაუვარდა მტერსაო. რასაკვირველია, ამ გვარი ხმები, რომელნიც ვრცელდებიან მლ-შაჰარის და სხვა მხრეთებიდგან, ძლიერ მოქმედობენ დაბალ ხალხზედ და აღელვებენ მას. ეკვიპტის მმართველობის სისუსტე უფრო ამაღლებს ხალხის თვალში შაჰდის ძლიერებას. ივლისის 5-ს (ახ. სტ.) მომხდარა ერთი უბედური შემთხვევა, რომელიც ამტკიცებს, რა სამწუხარო და საშიშს შედეგს უნდა მოველოდეთ ხალხის ამ გვარი სულის მდგო-

მარეობისაგან. საქმე ის არის, რომ რამდენიმე არაბი იღვა თურმე ქუჩაში და ლაპარაკობდა შაჰდის მოძრაობის წარმატებაზედ; ამ დროს ერთმა მათგანმა უცებ დაიძახა: „მე დავიწყებ იმის საქმის კეთებას, ვიდრემდის ის აქ მოვიდოდეს“, და ამ სიტყვებზე იძროთურმე დანა და ექვსი იქ მდგომი და ამ ლაპარაკის მსმენელი კაცი დასჭრა. აიღვე კარგი, რომ ეს ჭანატიკოსი მალე დაიჭირეს, თორემ ბევრს სხვასაც დასჭრიდა და ამასთანავე იმის მაგალითის ბევრი სხვაც მიჰყვებოდა. მაქსიმე ლაპარაკობენ, ვითომც იქაური შეიჭრულ-ისლამი სინუსის სექტას ეკუთვნოდეს. ამ სექტის შესახებაც ნამდვილად ამბობენ, ვითომც მისი აღმსარებელი ავრცელდებდნენ სუდანის ცრუ-წინასწარმეტყველის სწავლასაო.

— მაშ. „თამას“ შემდეგი ამბავი მოსვლია სუაკიმიდან: „ამბობენ, რომ ზორდონი თავისავე სალდათებმა მოჰკლეს იმის სამაგიეროდ, რომ იმის ბძანებით დახვრიტეს რამდენიმე ფაშა, რომელთაც აჯანყებულებთან კავშირი ჰქონდათ. შაჰში ჩუმი უკმაყოფილება სუფევს. ამტკიცებენ, რომ დახვრეტილი ფაშების რამდენიმე მომხრე ოფიცერი 200 ხართუმის მცხოვრებლებთან ერთად ძალად შეუკვიდნენ ზორდონსა და მოჰკლესო. ზორდონის მხლებელთ ჯერ მისი სიცოცხლის დასაცველად და მერე, როდესაც მოჰკლეს, სამაგიეროს გადასახდელად დაუწყეს ბრძოლა მკვლელებსა და რამდენიმე ღვე ქალაქი ურთიერთობრივი ომის ასპარეზად შეიქმნა. ბოლოს

ზორდონის მეგობარნი იძლიერენ და მაჰმდის მომხრეთ აცნობეს მას, რომ თავისუფლად შეეუძლიან ქალაქში შემოსვლა. ცრუ-წინასწარმეტყველი შევიდა ქალაქში და აღტაცებით მიიღეს. ღვეტი რომ არ ყოფილიყო, გარდაონი უთუოდ შეიმაგრებდა ქალაქს. ინგლისის მმართველობამ კარგად უწყის ეს უბედურება, მაგრამ არაფერს ატყობინებს ამ სამწუხარო ამბავს.

ამ ამბის სინამდვილეს სხვა გაზეთების ტელეგრაფებიც ემოწმებიან.

საზრანბეთი. მინისტრთა რჩევის პრეზიდენტს ბატ. შულჩერის ჩინეთის საქმეთა შესახებ გამოუცხადებია პალატაში — ექვი არ არის, რომ მმართველობამ მიიღო ნამდვილი დოკუმენტი ტიანძინის ხელ-შეკრულობისაო. როდესაც ვიკლევედით ამ ტრაქტატის მე-2 მუხლს, რომელმაც ასტენა ჩინეთისა და საფრანგეთის შორის უთანხმოება, — უთქვამს ჟერის, — ჩვენ დაფრწუნდით, რომ ეს მუხლი იგივეა, რაც ის მე-2 მუხლი ხელ-შეკრულობისა, რომელიც თქვენ თავის დროზე გაცნობდით. ამას გარდა, თქვენ უწყით, რომ ამ ხელ-შეკრულობასაც, როგორც ყოველთ ამ გვარ ხელ-შეკრულობათ, ბოლოში შენიშვნა აქვს, რომელიც ამბობს — თუ ვინცობა, ამ ხელ-შეკრულობის განმარტების დროს საცემოდ არამ გახდა, მაშინ სახელ-მძღვანელოდ ჩრანტუზული ტექსტი უნდა იყოსო. მე-2 მუხლში კი საცემო არაფერი არ არის. იქ ცხადად არის გამოხატუ-

ლი ჩინეთის მმართველობის ცდილობა, რომ ჩინეთის ჯარები უნდა გამოყვანილი-იქმნან ტიანძინიდან. ამავე დროს ჩვენ მივიღეთ გენერალი მილიოსგან მოხსენება იმ საქმის შესახებ, რომელიც ლანგსონთან მოხდა... ამ მოხსენებიდან ცხადია, რომ თოფის-სროლა პირველად ჩინეთის გაწერონილ ჯარებს დაუწყიათ და არა ჩრანტუზებისას, როგორც ჩინეთის მმართველობა ამტკიცებს. ამ ფაქტში ჩვენ ვბოვით საბუთი, რომ დაკმაყოფილება მოგვეთხოვა ჩინეთის მმართველობისათვის. ჩვენის აზრით, მისში ჩვენ ძლიერ ზომიერად მოვიქცეთ და კონტრიბუცია არ მოვსთხოვეთ, მაგრამ ვხლა კი სრულებით სამართლიანი იქმნება დაეუმტკიცოთ იმათ, ვინც ხელ-შეკრულობათ მასხარულად ექცვიან, რომ ამ მასხარული ქვეყნისთვის პასუხს აგებენ (ტაშის-გგრა). ჩვენ შევატყობინეთ ჩინეთის მმართველობას ჩვენი აზრი და ველით პასუხს. პალატასაც ამასვე ვურჩევთ. ბოლოს ჟერიმ სთქვა, რომ მმართველობა თავის კეთილ-გონიერი და მტკიცე მოქმედებით პატივს აცემინებს ჩინეთს ხელ-შეკრულობათათვის და დაიცავს საფრანგეთის ინტერესებს და პატიოსნებასაო.

შედეგები
(„ჩრდილოეთის სსსკეტაში“)

მინი. გორდონი იუწყება, რომ ივნისის 10 ხართუმი და სენსარი

იმასაც, რომ ჩვენ არ უარ — ეყოფით კერძო ლიტერატურულ მაგალითებს, რომლებშიც მოიპოვებიან ყველა ელემენტები ლიტერატურული ბრძოლისა. ჩვენ საჭიროდ არა ესცანით მათი დასახელება და ეს არც საჭიროა მაშინ, როცა საქმე გაქვთ საზოგადო მოკლესთან და არა თითო-ერთად მაგალითთან... მს მარტივი და უბრალო აზრი ვერ გაუქია ჩვენს მოკმაბთეს, თითონ უხეროდ ესარჩილება სამშობლო მწერლობას და ჩვენ კი ამ მწერლობის მგომბელად გვრაცხს. მაგრამ ამასაც არ გვაჯერებს, და გვეუბნება — ლამაზი ჩინაური ბძანდებო... საცო-დავი აზნაური! ქველა იმას დასცინისდა ისეთი პირიც, რომელიც, ზოგიერთა შემთხვევაში, დამორებით დაბლასდგას ამ გამოჩენილს გმირედ!.. მოჰყოლია და ჯაგლაგი ბურსაკივით სოფლის მაგალითებს — ამან ეს დასწერა და იმან ესაო... თითქო არავინ იცოდეს, ვინ რა დასწერა და რა გააკეთა!.. თქვენ საქმე გაქვთ საზოგადო მოკლენასთან, რომელსაც თითო-ორიოლა მაგალითი არა თუ არღვევს, არამედ ამტკიცებს. თუ ეს მოკლენა შეცდომით არის ნაჩვენები, თუ ჩვენი საზოგადო დასკვნა ყალბია, მაშინ ამას სხვა ნაირი დამტკიცება უნდა — თითო-ორიოლა მაგალითი აქ არაფერ შუაშია. აი რისათვის ვამბობდით, რომ ჩვენს მწერლობაში ამჟამად მებედებით პრინციპიალურს ბრძოლას და

ხშირად პირდაპირს, ჭორიკანობას და სხ... მს მოკლენა ჩვენ ვაღვიარეთ სამწუხარო მოკლენად და მიზეზიც ვუბოვეთ. ამ მიზეზს, სხვათა შორის, შეადგენს ლიტერატურული განუერთებლობა, ლიტერატურული უზღველობა. ბანა ეს მართალი არ არის?

ხშირად ერთი გარემოება ავიწყლებათ ჩვენს მწერლებს. ასე ჰგონიათ, დიდს სიკეთეს უშვებოდენ სამშობლო მწერლობას, როცა თვალებს ხუჭვენ და სამწუხარო მოკლენას გვერდით აუვლან ხოლმე. ამ ნაირი საქციელი მეტად მავნებელია და, სხვათა შორის, მასში მოიპოვება მიზეზი, რომ გულწრფელი ლიტერატურული ბრძოლა ასე ააჯანყებს ხოლმე ჩვენს ლიტერატურულ კორიკანებს. ქველა ითხოვს კება დიდებას, გუნდრუყის კმევას... პირუთენელი სიტყვა ვერავისთვის გითქვამს. ქველა შემფარებია თავის პაწაწინა რეპუტაციას, თავის პაწაწინა დიდებას. და როდესაც ამ რეპუტაციას, ამ დიდებას შეეხებით, ვაი თქვენი ბრალიცა — იმას კი არ დაგიღვევენ — მართალი ხარ, თუ მტყუანი. მყუდროება და სიჩუმე — აი რას თხოულობენ ეს დამსახურებულნი პირნი. რაც უნდა შევსცდეთ და საძაგლობა ჩავიდინოთ, ხმას ნუ ამოიღებთო, „ლიტერატურის მეუფის“ მემკვიდრე ვართო და „შემოქმედებითი ძალით“ თავიდაც ფეხებამდინ აღვსილნიო...

რას იზამ, მკითხველო!.. სწორედ რომ სამწუხაროა...
ბ. ნ. ლ. თავს მართლულობს და ამბობს, რომ ზორის ახალ-გაზდობამ იცოდო ისიდ. შიქინაძის ოხრად სიკვდილი; რვა ახალ-გაზდას ეს ამბავი მე შევატყობინეო. ჩვენ არ ვიცით — მართალს ბძანებს განსვენებულის პედაგოგის პირისუფალი, თუ სტყუვის. მს კია, რომ იმის მოღვაწის ხვედრმა ააშფოთა ზორის ახალ-გაზდობა და უმრავლესობამ წარმოსთქვა, რომ ცილსა გეწამებსო. ქოველ შემთხვევაში, ფაქტი სხვააირად უნდა დამტკიცდეს და არა პოლემიკურის გზით. მიტყვით მხოლოდ, რომ მე ზორში არა ესცხოვრობ და არც ეყოფილვარ იქ შიქინაძის დასაფლავების დროს. მს ყველამ კარგად იცის. მაშ რად გამკიცხა მეც სხვებთან და უფრო ცხარედ, ვიდრე სხვები? — რათა და მათა, რომ როგორც ჩემთან, ისე ბევრ სხვებთან პირადობა აქვს ჭეშმარიტების მძიებელს, მკადგებელს...
ღანაშენი ნაწილი უშველებელი პასუხისა საინტერესო არ იქნება მკითხველისათვის და არც არაფერს ვიტყვით მასზე. მკითხველს უნდა აზრი, რაიმე საზოგადო შეხედულობა, მაგრამ ამითი მეტად ღარბია ეს პასუხი. ნაცვლად ამისა, მასში უხვად მოიპოვება დაბანაური შემოქმედებითი ძა-

ლა, მინიჭებული „ლიტერატურის მეუფისაგან“ და რაღაცა ინკვიზიციური ჯამუშობა ფსიხოლოგიური სინილისისა“ (ნეტავი გავგაგებინა, ეს „ფსიხოლოგიური სინილისი“ რა სქოლასტიური ჯანაბაა?!), მაგრამ ეს ვისთვის და რისთვის არის საჭირო, მეტადრე, როდესაც შეეხება ასეთს „საცოდავ მწერს“, როგორც თქვენი უმორჩილესი მონაა.
შაზარალბელი და მავნებელია, ჩემო მკითხველო, ჩვენის ახალ-გაზდობის უსწორ-მასწორად, ცუდ-უბრალოდ კილება, დენა. ჩვენი იმედი ამ ახალ-გაზდობაზედ არის დამყარებული და კილვას ხომ უთანხმოება მოსდევს. შიმისოდაც გზა აქვს დაფანტული ამ ახალ-გაზდობას და რაღა ხელის-შეშლა უნდა. ქველა პატიოსანს კაცს შეგნებული უნდა ჰქონდეს — რადის და რათა ზიანდება საზოგადო საქმე და გვერდზედ მიავლოს თავ-მოყვარეობა, კუთხეში მიმალოს პირადობა. აი, სხვათა შორის, რისთვის გავმოლტეთ ჩვენ „მოღვაწის ხვედრი“ პირველს ჩვენს წერილში.
ბ. ნ. —
გორი. —
ივნისის 6.



არ აუღიათ აჯანყებულებს. გორ-დონს ხართებში 800 კაცი ჰყავს და თხოულობს ჯარის მოშველესასა.

ტულონი. მოკვდა ხოლერისა-გან: აქ 43 და მარსელში 60 კაცი.

ნიუ-იორკი. ოგაიოს შტატში სავანგებო მატარებელი გადავარდა გზიდან წყალში; 25 კაცი დასახინრდა, 12 უამბოდ დაიკარგა, — ამბობენ, რომ დაიღუპნენო.

ივლისის 10-ს

ამბიკაშვილი. ოდესის ქალაქ-მთავარმა მოილაპარაკა პორტასთან იმაზედ, რომ გაუქმებულ იქნას კარანტინი ოდესიდან მიმავალ გემებისათვის, რადგან ოდესში არა ყოფილა არავითარი ნიშანი ხოლერისა.

პარიში. სენატის კომისიამ შესახებ კონსტიტუციის გადახედვისა, გამოაცხადა, რომ ეს გადახედვა საჭიროა, მაგრამ კარგი იქნება პალატისაგან მიღებულ პროექტი-დამ გამოირიცხოს ის მუხლი, რომელიც ბენეგა სენატის შესაზღვრას ჭინანსიურ საგნებში. პალატამ გადასწყვიტა, რომ 5 მილიონი ჭრანკი დაინიშნოს მადგას-კარის ექსპუტიციისათვის.

მენა. ოჭიციოზური «პოლიტი-შე კორესპონდენცია» ამბობს, რომ გაზეთების ხმა, ვითომც ჩერნო-გორიას პროტესტი გამოეცხადებინოს წინააღმდეგ ავსტრიისაგან ჩერნოგორიის სამზღვარზე ციხეების აშენებისა ტყუილი არისო.

განცხადებანი

ქუთაისის პროვიმნაზიისაგან.

სიეწროვის გამო პროვიმნაზიის შენობისა შიგ მკოფის შევირდების დატყუაც სჭირს. იმიტომ, გარდა მოსამზადებლის კლასისა, დანარჩენ პროვიმნაზიის კლასებში წველს შევირდების მიღება არ იქმნება.

მოსამზადებელ კლასში არის 35 ადგილი. იმ შემთხვევაში თუ ამ კლასში შესვლის მსურველთ რიცხვი აღნიშნულს ვაკანსიების რიცხვს აღემატა, მიღება მოხდება კონკურსისა ეგ-ზამენებით, რომელიც დაიწყება 20 აგვისტოდან.

ზარდა ამისა, პროვიმნაზიის მთავრობა უმოჩილესად სთხოვს მშობ-ლებს, ნათესავეებს, ან აპეკუნებს იმ ბავშვებისას, რომელნიც პროვიმნაზიაში სწავლობენ და რომელთაც სტო-ვებენ ქალაქში სხვა-და-სხვა პირებთან, წარმოადგინონ ცნობები: ვისას იბინადრებენ მათი შეილები და ვის ეყო-ლებიან ჩაბარებულნი.

თუ ის პირები აღმოჩნდნენ სრულ-ლიად უცნობნი პროვიმნაზიის მთავრობისა და ვერ აღასრულეს მოთხო-ვნილებანი, თუ როგორ უნდა ადვენონ თვალ-ყური მიბარებულ შე-გირდს, იმ შემთხვევაში პროვიმნაზიის მთავრობა სთვლის ვალად გააფრთხი-ლოს მშობლები ეხლავე, რადგან მაშინ მაიწვევს მათ და მოსთხოვს დაუყოვნებლივ გადაიყვანონ თავიან-თი შეილები ისეთ პირებთან, რომელ-თაც მთავრობა იცნობს, ან და იმ ბინაზედ, სადაც თვით მთავრობა უჩვენებს.

რომ გაუგებარი არა დარჩეს-რა, პროვიმნაზიის ინსპექტორი სთხოვს მშობლებს, ნათესავეებს და აპეკუნებს იმ ბავშვებისას, რომელნიც პროვიმ-ნაზიაში სწავლობენ, როცა ისინი კანიკულების შემდეგ წარმოადგენენ თავიანთ ბავშვებს სასწავლებელში — 20 აგვისტოდან 1 სექტემბრამდის — თვითონ მობრძანდნენ პროვიმნაზიაში შემდეგი ცნობების წარმოსადგენე-ლად: ვისთან აცხოვრებენ თავიანთ ბავ-შვებს და ვის ჩაბარებენ, ან და, თუ საჭირო იქმნება, მოსალაპარაკებლად იმ პირებთან, რომელთაც მთავრობა იცნობს და რომელნიც იკისრებენ მათ დაყენებას.

ის პირები, რომელნიც ისურვებენ იკისრონ შევირდების დაყენება, მოი-წვევიან წესდების § 49 ძალით გიმ-ნაზიის პროვიმნაზიის შევირდებისა-თვის სახალხო განათლების სამინი-სტროსა, შემოიტანონ განცხადება ამა-ზედ პროვიმნაზიის კანცელიარიაში, ან და მისცენ იქაურის მოსამზადებ-ლი კლასის მასწავლებელს ბ. პლეკ-სანდრე ანტონის-სეს ბაზილევისს.

ინსპექტორი ა. ს. მამონტაჟი.
(3-1)

ინდოეთის გელემეტები (ჩაუბუტე-ბი) მისაგან დასაფარავად 3 მან. 50 კაპ. ბამაზი არა. 1 მან. მზის სა-თები 50 კაპ. ხაუნგები 50 კაპ. დაწ-ყობილი, აღმასის პარაშოკი ყოველ-გვარის ლითონის საწმენდად, ნახე-ვარ-გირვანქა 15 კაპ. ყავის საფუქე-ვი 1 მანათილამ 4 მანათამდე, ბეზმე-ნები 1 მან. 50 დაწყობილი, ელექ-ტრონული, დაუსველებელი სამოსე-ლნი 8 მან. დაწყობილი, გლიცერი-ნის საპონი 40 კაპ. გირვანქა.

ინგლისის მაღაზიაში არწრენის გაღერეია.

იქვე დიდ-ძალი ამერიკული კლიონ-კა სხვა-და-სხვა ზომისა, ჩულქები, წინდები, თოფები, რევოლვერები, სურნელოვანი წყლები (დუხები) სა-პონი, მეღანი და სხვ. ქალაქი ვა-ტარკლოზეტისთვის 500 თაბანი 50 კაპეკად! ძარბოლის პარაშოკი გაღამ-დები ავადმყოფობის წინააღმდეგ 20 კაპ.
(6-2)

სანგარის კუხისა და გუბის გამსესებელ-მეხანაველის ამხანავლობის ივლისის თვისათვის 1884 წლისა.

ამხანავობა გაიხსნა 5 მაისს 1884 წელსა.
პირველი იენისისათვის 1884 წლისა იყო: ამხანავობა რიცხვი 33:

შემოსავალი:	მან. კაპ.	გასავალი:	მან. კაპ.
წილის ფული	1142 — „	ზასესებული.	1165 — „
სასარგებლოდ შემოტა-ნილი	30 — „	დანაშთენი: 86 მანათი	
მოგება	79 — 90	ნაღდ ფულად	54 — 40
		ინვენტარში	32 — 50
ჯამი.	1251 — 90	ჯამი.	1251 — 90

იენისის თვეში 1884 წლისა:

შემოვიდა:	მან. კაპ.	გავიდა:	მან. კაპ.
წილის ფული	132 — „	სესხი	182 — 50
სარგებელი დაჭერილი სესხობის დროს	10 — 5		
დაბრუნება სესხისა	75 — „		
ჯამი.	217 — 5	ჯამი.	182 — 50

პირველს ივლისს 1884 წლისა არის: ამხანავობა რიცხვი 45.

მან. კაპ.	მან. კაპ.
წილის ფული	1274 — „
სასარგებლოდ შემოტა-ნილი	30 — „
სარგებელი	89 — 95
ჯამი	1468 — 95

გამგეობის წევრნი: (1-1) ნესტორ წერეთელი, მღვდელი პეტრე საგერელი, შრიგოლ ბალანჩივაძე.

მაზანდა რაინის ზუა

ხორავისა, რომელიც იყიდება თბი-ლისის ბაზრებში, ღუქებში და ხელ-და-ხელ 1 ივლისიდან 1 აგვისტომდე 1884 წ.

გამომცხვარი ჰური რუ-სეთის ფუქილისა	— 1 გ. 5 კ.
აქაურის ფუქილისა: პირ-ველის ხარისხისა	— 1 გ. 2 1/2 კ.
მეორისა	— 1 გ. 2 კ.
ამავე ფუქილ. თორნიშა, გამომცხვარი:	
პირველი ხარისხის	— 1 გ. 4 1/2 კ.
მეორისა	— 1 გ. 3 კ.
მესამისა	— 1 გ. 2 1/2 კ.

ჟვარის-მამი ჰური:	
პირველი ხარისხ. ღავაში	1 გ. 4 1/2 კ.
მეორის ხარისხ. ღავაში	1 გ. 3 1/2 კ.
მესამისა	1 გ. 3 კ.
ძრასის ხარისხი:	
პირველის ხარისხისა	— 1 გ. 8 კ.
მეორისა	— 1 გ. 7 კ.
სუკა	— 1 გ. 15 კ.
ცხვრის ხარისხი	— 1 გ. 8 კ.
ღვარის ხარისხი:	
პირველის ხარისხისა	— 1 გ. — კ.
მეორისა	— 1 გ. — კ.

თბილისიდან ქუთაისისკენ მიდის 8 საათზედ და 31 წამ. დილით თბილისიდან მარტო საშურამდინ 3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან. თბილისიდან ბაქოსკენ 10 საათზედ და 45 წამ. დილით. (სამშაბათობით საჩქარო 10 ს. 58 წ. დამ.) ქუთაისიდან თბილისისკენ 12 საათ. და 25 წამ. შუადღ. უკან. ქუთაისიდან ბათუმისა და ფოთისკენ 5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან. ბათუმიდან თბილისისკენ 8 საათ. დილით. ფოთიდან თბილისისკენ 8 საათ. და 45 წამ. დილით. ფოთიდან ბათუმიდამ მომავალი თბილისში შექორდის 10 საათზედ და 25 წამ. დამით. მარტო საშურიდამ მომავალი თბილისში შექორდის 8 საათზედ დილით. ბაქოდამ მომავალი შექორდის თბილისში 2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან. (პარასკევობით საჩქარო 7 ს. 53 წ. დილ.)